წელიწადი I-ლი

# ბათომის ცხოვრებ

№ 6

ყოველ-დღიური დემოკრატიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

ორშაბათს, 10 იანვრიდან 1921 წ. დრამა მონაწილეობს მილ(ჯ)ბენ ხერუვიმოვაი გედევანოვა, ბიბიკოვა იგრეია,

სიყვარული და ქორწინება
—II
სანახაობა ფინეთში
—III—
საქმროს ჩამადანი სახუმარო სურათი.

ანონსი პარასკევს 14 იანვარს შემდეგი პროგრამა!

## განცხადება.

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან მოიმარაგა რა საჭირო მასალები ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ქვა ფენილების შესაკეთებლათ სჭირდება მოხელე, რომელსაც შეძლება ექნება აიღოს მთელი სამუშევარი, რისთვისაც ნიშნავს ფარული შეჯიბრების დღეთ 7 იანვარს, დღის 12 საათზე და იმ დღეს მსურველნი, სამუშევარის აღების, უნდა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ფარულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ყოველ გვარ ცნობების მიღება, დასახელებულ სამუშევარის შესახებ შეიძლება გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღიურათ, შეჯიბრების დღემდე, დილის 9 საათიდან შუა დღის 3 საათამდე.

3—2 ქალაქის გამგეობა.

## ბათომის მუშათა მაგიდა

კარაქი, მიღებული ბათომის საბაჟოდან, მაგიდის მიერ გადაეცა კოოპერატივ

## „სხივს“

ბათომის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეზე გასანაწილებლათ, გირვანქა კარაქი გაყიდულ უნდა იქნას 630 მანეთად სულზე ნახევირი გირვანქა.

2 მუშათა მაგიდა.

## განცხადება

მუშათა მაგიდის მიერ დაწესებულ წესების თანახმათ მაგიდის დეფიციტის დასაფარავათ ფული უნდა შემოიტანონ დამქირავებლებმა ის დამქირავებლები რომელიც აიძულებს მუშას ან მოსამსახურეს შეიტანს მაგიდაში ხსენებული ფული—ჩემ მიერ იქნება

## მიცემული პასუხის გებაში.

გთხოვთ კავშირთა საბჭოს, გამგეობებს და პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრებს აცნობონ შრომის კომისარიატს ყოველივე შემთხვევა დამქირავებელთა მხრივ მაგიდის წესების დარღვევისა.

20 შრომის კომისარი ა. წულაძე.

## ამით ეუწყება საყოველთაო ცნობისთვის, რომ თანახმად დადგენილებისა

(საგენტური საკომისიო სატრანსპორტო სამ.) „ენერგია“ 1 იანვრიდან 1921 წ. შეუდგა თავის ლიკვიდაციას.

ყველა იმ პირთ ვისაც კი რაიმე პრეტენზია აქვთ ამ ფირმის შესახებ უნდა მიმართონ სანაპირო ქ № 87

განცხადება შეტანილი უნდა იქმნას 15 დღის განმავლობაში ამის შემდგომ ფირმა ითვლება გაუქმებულად და პრეტენზიების მიღება არ იქნება.

ა ნ ო
ა ნ ო

შ მ ა ე ვ ს
| სახალხო წარმ

სიო პანტურიშვ
მ ო ლ

მონაწილეობენ: ივალიშვილი
ლაშვილი ვ., ბნელ
მონაწილეობენ: მსახიობნ
ადგილების ფასები ჩვეულებრ

შემდეგი წარმო
მარო მდივ

## განც

ბათომის ქალ

სამი იან

## საჯარო ვ

ყოფილ
ლარბაზი მიიღებს ყოვე
ვერცხლს, ავეჯს, ტანისამოს
საგნებს, რომლებიც გაიყიდ
საჯარო ვაჭრობა შეიძლება
სადაც ამას საქონლის პატრო
ბული ფული გადაეცემა მეპ

3—2

## განც

ბათომის ქალაქის გამგეობა ა
დანიშნულია გადაჭრითი საი
ართვინის ბაზრებში ვაჭრობა
უნდა წარმოადგინონ გირაო
ნა

ვაჭრობა იქნება სიტყვიერი
გაეცნონ ქალაქის გამგეობის
ამდენ ყოველ საქმე დღეს

1—2 25

...ორც ცალკე სახელმწიფოს, აგრეთ ...ე მთელი კაცობრიობის მეურნეო...ის სინამდვილე.

...რა არის ამის მიზეზი?

...მსოფლიო ომებით გამოწვეული ...ცრევა და გაპარტახება ადამიანის ...ოფლიოს...

...ეს ფსიხოზი ჟანდერმა ჩვენს თაო...ს განმანადგურებელმა ომმა და სა...ქალაქო სისხლის ღვრამ.

...მრავალ წლების განმავლობაში ...ცობრიობამ დააგროვა დამზადებუ...ი დოვლათი, წარმოების ...ორმა ...ურმა განვითარებამ შეავსო მსოფ...იოს მარაგი და ახალი ბაზრების ...ბნამ სამკვდრო სასიცოცხლოთ შე...უთქა ერთმანეთს უდიდესი ქვეყ...აში,..

...ამ ქარიშხალმა გამოაფინა იმპე...ალისტურ აშმორებული ბუნება ...ამავე დროს ძირი გამოუთხარა ...რმოებას...

...აიწყვიტა საუკუნოებით მიჯაჭვულ ...ამირანმა, დაიმსხვრა დესპოტიის ...ბოხტები და კაცობრიობამ იგემა ...ე პოლიტიკური თავისუფლებისა. .

...ამ ჭეშმარიტების მაძებარი კაცობ...რიობის სული განთავისუფლდა მო...ობისაგან მაგრამ მის სხეულს წი...ათ ხვდა ახალი იარები, ახალი ...ტკივილები...

...ხე კაცობრიობა გაიტაცა სოციალ ...ოლიტიკურმა პერსპექტივებმა.

...პოლიტიკურათ განთავისუფლე...ული კაცობრიობა ეხლა გატაცე...ული ეძებს ახალ გზებს..,

...ამან შეამცირა საქონლის რაოდე...ობა და უმწვერვალესათ გაზარდა ...აზე მოთხოვნილება.

...ამოიწურა დამზადებული მარაგი, ...ნიავდა ქვეყნის სიმდიდრე მეორე ...ით კი მოთხოვნილება კიდევ ...რო გაიზარდა და გაფართოვდა ...დაირღვა ფულის ნორმალური ...ტემა და ტრიალი და ეს არის ...ებულება დაცემულება ქაღალ...ფულმა ლამის სულ დაკარგოს ...ონლის გაცვლა გამოცვლის ...ხრარი...

...მკაი დღევანდელი სიძვირის მსოფ...ათო მიზეზი, რომელიც საერთოა ...ეგორც ევროპისათვის, რადგან ...ანი საერთო ეკონომიური სხეულს ...მოადგენენ.

...შეიძლება ამ სხეულის რომელიმე ...მაცილი ნაკლებათ იყოს დაზიანე...ბული,—მაგრამ ცნობილია, რომ ...თაჯაყოფობას შეუპრყია მთელი ...ორგანიზმი და მას ექიმობა ესა...ჭიროება.

...ს წარმოადგენს დღეს მსოფ...ოს ბაზარი?

...ხოლოთ ფასების ზრდის სურათს! ...ფასები იზრდება საზღაპრო სიჩ...ით და ამ ეკონომიურ კატაკლი...შიშის ქვეშ ყველა ცდილობს ...დგურებისაგან თავის დაღწევას..:

...— ვაჭრობის საშვალებით!...

...ს არის საბედისწერო გაუგებ...ბა, რომელიც დაღუპავს ქვეყანას ...გამოსავალი გზა თავის დროზე ...დარჩა ნაპიკვნი.

...ილიონებით და მილიარდებით ...რიშ იქით იმალება საშინელი ...სინამდვილე, რომელიც იმსხვრევ...ბს ბრუნდსაც და მართალსაც.

...ეს სინამდვილეა საქონლის სიმ...ირე, მოსახმარ ღირებულების გა...ძვება.

დღეს ვაჭრობა სჭარბობს წარმოე...ბას, ერთი და იგივე საქონელი ...ტრიალებს ათასების ხელში და იწვევს ...სპეკულიაციის ვაკხანილისა.

— „ქვეყანა, სადაც ვაჭრობა წარმოებაზე უფრო განვითარებულია უნდა დაიღუპოს", სთქვა დამფუძნებელ კრებაში ჩვენი ქვეყნის ერთმა მეთაურთაგანმა.

დღევანდელი ვითარების უკეთეს ფორმულიროვკას ვერ მოგვცემს ვერც ერთი თეორეტიკი..

თუ ჩვენ არ ვყევართ შეპყრობილი ჯოჯოხეთურ ძალას, თუ სა ციობრიობის ბედს სწყვეტს ადამიანის ვონება და მისი მუშობა, უნდა შეიგნონ ეს ჭეშმარიტება..

საჭიროა დროზე იქნას ძლეული ვაჭრობის ფსიხოლოგია.

მთელი ყურადღება წარმოების გაჩაღებას, საქონლის დამზადება—აი დღევანდელი მორიგი საკითხი.

აქეთ უნდა იქნეს მიპყრობილი ქვეყნის ცხოველმყოფელი ძალების ყურადღება.

ამაზე უნდა ზრუნავდენ ქალაქები და ერობები.

ამ მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციები.

რესპუბლიკამ ეს მიზნად უნდა დაისახოს.

**კ. ფირცხალაიშვილი.**

# რკინის გზელთა კონფერენცია.

რკინის გზელებმა თავის კონფერენციაზე გამოამჟღავნეს ის შეგნება და ნების ყოფა, რომელიც მუდამ თან ახლდათ სამი წლის უანგარო და ქვეყნისადმი ერთგულ სამსახურში. რკინის გზელები დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოს საიმედო დარაჯნი არიან.

სიმწარესა და განსაცდელში ზიდეს რკინის გზელებმა მძიმე ლოდი თავის საპატიო მოვალეობისა, პირნათლად წარსდგენ ამ კონფერენციაზე და ეკითხებიან თავის თავს „რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით" კონფერენციამ თვითონ აუწყა შეკრებილ რკინის გზის დემოკრატიას თუ რა აკეთა რკინის გზელებმა და ესევე დაანახვა თავის აწონილ დაწონილ საქმიან ბჭობით ფართე საზოგადოებას.

ჩვენ შეგვიძლია სიამაყით აღვნიშნოთ რომ რკინის გზელთა სულიერი განწყობილება და მოქმედება მიმართული იყო რკინეულ დისციპლინით საქართველოს ეროვნულ თავისუფლების გამაგრებისკენ.

რკინის გზელი ითმენდა ყოველ გვარ გასაჭირს და მით ხელს უწყობდა ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას.

ცნობილია, რომ ამ ჟამად სოციალურმა კრიზისმა საშინელი გახადა რკინის გზელთა ყოფა, რის გამოც მთავრობამ მიიღო სხვა და სხვა ზომები, როგორიც არის მაგალითად მუშათა მაგიდის ორგანიზაცია, ჩვენ იმედი გვაქვს მთავრობა განაგრძობს ამ მხრით რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ცხოვრების გაუმჯობესებას, რკინის გზელებმა ფართედ უნდა მიჰყონ ხელი საკუ...

...თარ თვით მეურნეობას, და ჩვ... დარწმუნებული ვართ ეს აძლევს...

რკინის გზელები დარჩებიან მარ... ერთგულნი იმ იდეისა, რომლის... ვისაც ისინი სამი წლის სიგრძე... მედგრად იბრძოდენ.

დედა ქალაქში უკვე დამთავრ...ბულია რკინის გზელთა კონფერე...ცია, კონფერენციამ ის მწყობ... და ერთიან გუნდის სახე შეინა...ჩუნა ბოლომდე, რომელიც ...ქონდა გახსნის დღეს

მტრები გაწბილდენ, მათ ვე... გაათამაშეს ავანტიურის კომედ... რკინის გზელთა შორის. რკინ... გზელებმა აბსოლიუტური ნდო... გამოუცხადეს იმ მთავრობას, რომე...ლიც საქართველოს დამოუკიდე...ლობას და ქართველ ხალხს მეს...ჭეობს სამი წლის სიგრძეზე.

რკინის გზელები რკინის სიმა...რით და სიმტკიცით დარჩენ სა...ვეყნო საპატიო ადგილას, მა... წინდახედულობა და დაკვირვე... ამაღლებს ქართველ დემოკრატი... ღირსებას და მის თვით დისციპლინ...

საქართველოს მშრომელი მა... მიიღო ძვირფასი მაგალითი რკინ... გზელთაგან, თუ როგორ უნდა სა...სახური რესპუბლიკისადმი.

რკინის გზელთა კონფერენცი... სულისკვეთება და რეზოლიუცი... ერთი თავდებთაგანი და იმედია, რო... საქართველოს სახელმწიფოს საძი...ქვილი მაგარია თავის წიაღში, მშრო...მელთა მკლავით.

**ი. ჯიხაიშვილი.**

# ინგლისის მუშათა პარ...ტიის სალამი საქართვე...ლოს.

დეკემბერის 16 ინგლისის ლე...ბორ პარტიის (მუშათა პარტიის... აღმასრულებელმა კომიტეტმა სოცია...ლისტურ ინტერნაციონალთან მყოფ... საქართველოს სოციალ-დემოკრატი...ულ პარტიის წარმომადგენელს ირ... წერეთელს შემდეგი შინაარსის დე...პეშა გაუგზავნა: ლეიბორ პარტიის... აღმასრულებელი კომიტეტი უგზა...ნის სალამს საქართველოს სოცია...ლისტურ მთავრობას, და უცხადე... თანაგრძნობას არსებულ მძიმე მდგო...მარეობაში, რომელიც გარს ეკვრ... საქართველოს. კომიტეტი მწუხარე...ბას გამოსთქვამს იმის გამო, რო... ერთა ლიგამ არ იცნო საქართველ... სახელმწიფო და არ მიიღო იგი თა...ვის შემადგენლობაში. კომიტე... იმედს გამოსთქვამს, რომ საქართვე...ლოს სოციალისტური მთავრობა დ... ძლევს იმ დაბრკოლებათ, რომელ... მას გზაზე ეღობება.

არტურ ჰენდერსონი

ამის საპასუხოთ ირ წერეთელ... ჰენდერსონს შემდეგი დეპეშა გაუ...გზავნა: მადლობას ვუცხადებ ლე...ბორ პარტიის (მუშათა პარტიის) აღმასრულებელ კომიტეტს საქართვე...ლოს რესპუბლიკისადმი გამოთქმულ... თანაგრძნობისათვის. ინგლისის მუ...შათა კლასის მოძმეური დახმარე...ბა გაამაგრებს ჩვენს ხალხს და მი... სოციალისტურ მთავრობას და დაამძლ...ვებს მის გზაზე არსებულ დაბრკო...ლებებს"

**წერეთელი.** (სდს).

## უცხოეთი.

### გერმანია

პოლ. გაზეთის გადმოცემით ხაფრანგეთის სამხედრო მისიამ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანია დიდ სამხედრო სამზადისშია დასავლეთ პრუსიაში.

### პოლონეთი

თანახმად პოლონეთის გაზეთების ცნობისა პოლონეთი დათანხმდა რიგის კონფერენციაზე არ მიითხოვოს რუსეთის ოქროს მარაგის ნაწილი, იმ პირობით თუ რუსეთი დაუთმობს მას. ქ. კამენეც პოდოლსკის და პოდოლიის გუბერნიის ერთ მაზრას.

### ინგლისი.

უმუშევრობის გამო დიდ ბრიტანეთში ყოველ კვირეულათ ეწერება ჯარში ათასი კაცი იმისა გამო ჯარი ამ ჟამათ სამშვიდობო დროის კონტინგენტს აღემატება.

მარტოვისა და ადამოვიჩის ხელმოწერით გამოვიდა საგანგებო მოწოდება ყველა სოციალური პარტიისა და პროფესიონალური კავშირთა მიმართ, ამ მოწოდებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ყოველგვარი არა ნორმალური და ავადმყოფიური მოვლენა შეიძლება მოსპობილი იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოიხსნება ბლოკადა და გარედან ხელოვნურათ არ დაეხმარებიან სამოქალაქო ომის გაძლიერებას. რუსეთის მუშათა კლასის და გლეხობის მოწინავე ელემენტებისათვის საჭიროა შეიქმნეს ისეთი პირობები, როდესაც ისინი თვითონ შეებრძოლებიან რევოლიუციის ანარქიულ, უტოპიურ და ბონაპარტისტიურ მიმდინარეობას.

### რუსეთი.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის თანახმათ გაფიცვები სასტიკათ აკრძალულია. გაფიცულნი დატუსაღებულნი იქნებიან. მათ ოჯახს კი მოესპობა პურის ულუფა.

პარიზის გაზეთები აღნიშნავენ რუსეთის ჯარის მობილიზაციას და გამოსთქვამენ შიშს იმის გამო, რომ რუსეთს განზრახვა აქვს დაეცეს ბესარაბია და სტამბოლს,

### ანატოლია

ოსმალურ გაზ. გადმოცემით ანატოლიაში ამბოხება, განსაკუთრებით იკონიის ვილაიეტში. ქემალისტებმა ჯერ ვერ მოახერხეს მეამბოხეთა დამარცხება შეტაკება მეი-შეხირის ოლქში გრძელდება.

### საბერძნეთი

საბერძნეთში ვენიზელოსის და კონსტანტინეს მომხრეთა შორის განწყობილება ჰწვავდება. 16 დეკემბერს ხალხის დიდი ბრბო შეიკრიბა გაზ. „პატრისის“ წინ და ყვიროდა: „გაუმარჯოს ვენიზელოსს“. რედაქციას ესროლეს ქვები, ჩაუტეხეს და ჩალეწესფანჯრები პოლიციამ მანიფესტანტები გარეკა.

საბერძნეთის მისია ოფიციალურათ უარყოფს იმ ხმას, ვითომ საბერძნეთსა და ქემალისტებს შორის შეთანხმება მომხდარიყოს.

## ახალი ამბები.

მინისტრის ჩამოსვლა. 9 იანვარს ღამის მატარებლით ჩამოვიდა ბათომში საშინაო საქმეთა და გზათა მინისტრი ბ. ნ. ბ. რამიშვილი სადგურზე ბ. მინისტრს შეხვდენ გენ. მდივანი, ქალაქის თავი და სხვანი.

ქართლოსული დახმარება. საბჭომ მიიღო ქალაქის გამგეობის წინადადება 6 მილიონის გადადების შესახებ ქალ. მუშა-მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განზრახულია დაარსდეს კოოპერატივი რომლის საშუალებით მუშა-მოსამსახურეებს მიაწვდიან იაფფასებში პირველი საჭიროების სანოვაგეს.

— სახლების რემონტი. 9 იანვარს შესდგა ქალაქის გამგეობის სხდომა, სხდომას დაესწრენ სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები; ირჩეოდა საკითხი ბინების შეკეთების შესახებ. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ამ საკითხის შესწავლა და დამუშავება. კომისიაში შედიან: ერთი ექიმი, წარმომადგენლები ბინის დამქირავებელთა და სახლის მეპატრონეთა, სამი ინჟინერი და სამი მუშა.

— სანოვაგის მომარაგება. ბ. ბათუმის გამგეობის რწმუნებული ერთი მილიონის გადაგზავნას ითხოვს ახალციხეში კარტოფილის შესაძენათ.

— ნავთი. დაიწყო ნავთის გაცემა მცხოვრებლებზე.

ქურდობა. გუშინ, დილის ექვს საათზე ასათიანის ქუჩაზე № 22 ბინიდან გაიტანეს ნოხები და სხვა ნივთები. მიღებულია ზომები დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

— დღეს, ხუთ საათზე, დეპოში დანიშნულია ბათომის ს. დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრილობა. ამხ. ნ. რამიშვილი გააკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე.

ოთხშაბათს, 12 იანვარს, $7^1/_2$ საათზე ბ. ნ. რამიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „გადატრიალება სომხეთში და საქართველოს მდგომარეობა“. ლექცია ფასიანია, შემოსავალი გადაიდება პროფესიონალურ კავშირის საბჭოს სასარგებლოთ.

— შობის კვირეში ჯარების სარდალი გენ. ზაქ. მდივანი ინახულა ინგლისის ადმირალმა.

— გუშინ წინ გნ. მდივანი ანტანტის სამხედრო გემებზე იყო, იგი სამხედრო პატივით მიიღეს.

— მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბ-ნი ვრ. გიორგაძე თბილისიდან ბათომს დაბრუნდა.

— ამ დღეებში ბ-ნი განსაკუთრებული რწმუნებული მიემგზავრება ბორჩხას.

— გუშინ განსაკუთრებულმა რწმუნებულმა დაათვალიერა ციხე სიმაგრეები.

ბათომის ქალაქის მილიციამ დაარსა კულტურულ საგანმანათლებლო სექცია მილიციელთათვის, კულტურულ საგანმანათლებლო სექციის ნივთიერ ფონდის შესაქმნელად ამ დღეებში ბათომში მოეწყობა ყულაბებით ფულის შეგროვება გაიმართება საღამო და მიიღება შემოწირულება“ ასეთი კულტურული საგანმანათლებლო სექცია არსებობს თბილისის მილიციაში.

წარმოდგენა ჯარისთვის

ამ დღეებში ასპინძის ბათალიონში იმართება წარმოდგენა ჯარის კაცთათვის.

11 იანვარს დილით სამშაბათს მე-9 სა. ასპინძის ათასეულის კულტურულ განმანათლებელ ნაწილის მიერ წარმოდგენილი იქნება უფასოთ ამავე ათასეულის ჯარის კაცებისათვის „იასონის ოინები“ ამავე ერთეულის ჯარის კაცების მონაწილეობით. მოეწყობა კონცერტიული განყოფილებაც ასპინძის ათასეულის მომღერალთა გუნდი სანდრო კავსაძის ლოტბარობით შეასრულებს რამოდენიმე ხალხურ სიმღერებს გათავებისას ლეკური დაუკრავს სამხედრო ორკესტრი და ზურნა.

### ნავთსადგურში.

— 8 იანვარს გემი „ლიმპოს ტემის“ წავიდა სალონიკაში გამოქცეულებით და სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

— 10 იანვარს სოხუმში წავიდა გემი „კერასუნდა“.

— 10 იანვარს ტრაპიზონს წავიდა გემი „საბრი“ სხვა და საქონლით დატვირთული.

— კავკას და მერკურის საზ. იღებს მგზავრებს და ბარგს ამერიკისთვის

— ნავთსადგურში შემოსვლის დროს გემი „კონსტანტინე“ დაეჯახა მატორიან გემს „პონაიდი“-ს და დაიზიანა.

— ბერძნული გემი „კონსტანტინე“ განაგრძობს ბერძნულ გამოქცეულების გადასხმას და რქიან საქონლის მიღებას.

— ფოთიდან მოვიდა გემი „ცხენის წყალი“ მგზავრებით

იანვრის ბოლო რიცხვებში სტამბოლიდან მოელ ან მოხალისეთა ფლოტის გემს „ვლადიმერს“

## შავი ზღვის რადიო.

### ანგორა.

ბოლშევიკების ცნობით ანგორაში მიიღეს საარჩევნო წესი. არჩევნები მოხდება პროფესიების მიხედვით მას წავლებელი ირჩევს მასწავლებელს, დურგალი დურგალს ინჟენერი ინჟენერს და ასე სხვა.

## უკანასკნელი ცნობები.

— გემი „ვოზროჟდენიე“ ბათომში მოსულ ცნობების თანახმად ყირიმში უნდა იყოს.

— ხმებია მოსკოვში გადატრიალება მოხდა. ერთ ერთ დაჭერილ რადიოში რომელსაც არც ბოლო უჩანს და არც დასაწყისი ასე სწერია: ლენინის და ტროცკის ბინაზე მოახდინეს ჩხრეკა ხოლო ვინ მოახდინა ეს ჩხრეკა ნათქვამი არ არის მეორე რადიო ნაგლეჯში ნათქვამია მთავრობა მოსკოვში ვინმე სტოკსვეფონის ხელშია და მასვე ემორჩილებიან „ჩრეზვიჩაიკები“.

— ბერძნულ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლის განცხადებით მართალი უნდა იყოს ბოლშევიკების ცნობა ათენაში მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ აჯანყების დაწყების შესახებ.

— ხმები დადის სპარსეთ აზერბაიჯანის შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა და სპარსეთის ჯარები აზერბაიჯანის უკევენო.

## სხვა და სხვა

]. ბერლინში მენშევიკმა მარტოვმა გამოსცა საგანგებო მოწოდება საერთაშორისო დემოკრატიისადმი და ინტერნაციონალისადმი რომ ებრძოლონ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას და ამით უფრო ადრე მოხდება რუსეთის აფორიაქებულ ყოფის სასურველ კალაპოტში ჩაყენება

## კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია მილიციელთათვის.

ბათომის მილიციის უფროსი იტყობინება, რომ მილიციისთვის დაარსდა კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია მსგავსად თბილისისა.

ეს ფრიად სასიხარულო ამბავია კულტურულ-სექციამ უნდა აღმაღლოს მილიციელები, მისცეს მას წარმოდგენა ჩვენს რესპუბლიკაზე კულტურულ საგანმანათლებლო სექცია გაწვრთვნის და აღზრდის მილიციელთ. ბათომში და საქართველოს ევროპის პირველ შეხვედრის ალაყაფში. საქართველოს საუკეთესო მილიცია უნდა ჰყავდეს. ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ სექციის მოწყობას, როგორც გადმოგვცეს კულტურულ საგანმანათლებლო სექციის ფონდის შესაქმნელად მილიცია მოაწყობს ყულაბებით ფულის და შემოწირულების შეგროვებას და გამართავს საღამოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოქალაქენი მხურვალე თანაგრძნობით შეხვდებიან ამ დღეს მილიციელთ, ვინაიდან აღზრდილი და თავის მოწოდების სიმაღლეზე მდგომი მილიცია უწინარეს ყოვლისა მოქალაქეთათვის არის საინტერესო და საჭირო.

აგრეთვე ამ მხრით მილიციას ყოველგვარი დახმარება უნდა მისცეს ქალაქის თვითმართველობამ

## საჩუქრების დარიგება ფრონტზე.

ქალაქის თავი ბ-ნი გიზო ანჯაფარიძე საბჭოს თავმჯდომარე ონიფანტე რამიშვილი და თბილისიდან ჩამოსული ფრონტის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი იოსებ იმედაშვილი გუშინ გაემგზავრენ ფრონტზე ჯარისკაცთათვის საჩუქრების დასარიგებლად.

## რუსეთი და ოსმალეთი.

ახმედ მუხთარი ანგორის მთავრობის სახელით უსაყვედურებს მოსკოვის დიპლომატიას რომ იგი აბუჩად იგდებს ქემალის ოსმალეთს. რუსეთს უნდა ისარგებლოს ოსმალოს ხელით და სომხეთის მთავრობის დროებით გამოცვლა ჰსურს მოსკოვს თავისთვის გამოიყენოს ოსმალეთ სომხეთის საზავო ხელშეკრულებათ გაუქმება და ოსმალოს ჯარ ს სომხეთის საზღვრებიდან გაყვანის მოთხოვნას მოკავშირეობის დარღვევას ნიშნავს ანგორა უკიჟინებს რუსეთს რომ მოსკოვი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან, ანგორა ეკითხება და რუსეთს როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოსთან რადგან ხმა დადის რომ წითლებს და ქართველებს შესაძლოა ომი მოუხდეთო. საერთოდ ოსმალეთი გულნატკენია, ის ჰგრძნობს რომ ბოლშევიკები მას სათამაშო იარაღად უპირებენ გადაქცევას.

ოსმალეთმა პირველი ამის მაგალითი სომხეთში მიიღო და თავის თავად გასაგებია, რომ ის ახლა რუსეთს ნაკლებად ენდობა. ოსმალეთი აპირებდა რუსეთის შემწეობით ანტანტის დაშინებას ხოლო რუსეთი შეუდგა ოსმალეთის ხარჯზე რუსეთის გაფართოებას და [illegible] ანგარიშს მოგვარება.

ოსმალეთი რუსეთის ურთიერთობაში პირველი სიტყვა უკვე ითქვა.

ახმედ მუხთარი აცხადებს რომ მე რუსზე უფრო წმინდათ ვიცავ მოკავშირის მოვალეობას, და იმ დროს როცა მე ანტანტი ათასგვარ სიკეთეს მპირდება მასთან მოლაპარაკებას არ ვიწყებო, ხოლო რუსეთი კი ჩვენ გაუგებლად აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისთანო.

ხდება ის რაც ბუნებრივად ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს.

ვნახოთ რომელი დიპლომატი უფრო მოქნილია და რომელი უფრო მარჯვეთ გაიტანს ლელოს მოსკოვი თუ ანგორა.

ეს დასაწყისია ხვალინდელ ამბებისა.

საქართველო მოსკოვ ანგორის შემაერთებელ ხიდის გვერდით მდებარეობს, საქართველო შესაძლოა კიდეც დიდათ დააფასოს ოსმალეთ რუსეთმა როგორც ბუფერი ერთი ერთისადმი და კიდეც მოიწადინონ მისი წაბლეწა თუ ავანტიურულ გზას დაადგენ.

საქართველო საინტერესო როლში ვარდება, დროებით და მეგობრებული ისტორიული მტრები რუსეთი და ოსმალეთი მოსალოდნელია ერთმანეთს დაეტაკონ, ეს მთლიანად ანტანტის პოლიტიკის მოქნილობაზეა დამოკიდებული, ნეიტრალურ საქართველოს სწადს ყოველგვარ შეჯახების გარეშე დარჩეს, საქართველოს დიპლომატია და მისი საგარეო პოლიტიკაც დღეს აქეთკენ უნდა მიიმართოს, მან უნდა შეიცნოს ახლობელი პერსპექტივები, და კვლავ სამშვიდობოსკენ ატაროს ჩვენი სამშობლოს გემი.

არ დავივიწყდეს, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი სიცოცხლე ჩვენი მარჯვენის და მკლავის სიმაგრეზეა დამოკიდებული.

ირ-დი.

## პატარა ფელეტონი.

### შემოსავლიანი ადგილი.

მე რომ ოსტროვსკი ვიყო უთუოდ დავწერდი ახალ კომედიას—„შემოსავლიანი ადგილი“. და კომედიის მოქმედების ადგილათ უთუოდ გემს ავირჩევდი

მაგრამ მე ოსტროვსკი არ ვარ—გაზეთის პატარა ფელეტონისტი ვარ და ნუ დამძრახავთ თუ ამ დიდ თემაზე საგაზეთო ფელეტონის მეტი არაფერი მოგაწოდოთ.

დიახ გემი!

საუცხოვო შემოსავლიანი ადგილია. მე არ ვიცი იქ როგორ აწყობენ „შემოსავლიანობას“ (რომ ვიცოდე ამდენ ხანს წავიდოდი), მაგრამ ვიცი რომ, როგორც ოსტროვსკის კომედიაში, ყველა მისკენ მიისწრაფვის.

გემის წასვლისას ათასგვარ დაწესებულების წარმომადგენლებს ნახავთ საჩხრეკათ მოსულს. მოდიან

ყველა მიუხედავად იმისა, არის ეს მათი პირდაპირი მოვალეობა თუ არა.

შეიძლება არც იმდენი ,,შემოსავლიანი ადგილი'' იყოს გემი, მაგრამ ერთმანეთის ფეხის ხმას აყოლილი ყველა იქით მირბის.

საბაჟოს, კონტრ-დაზღვევას საგანგებო რაზმს, ნავთსადგურის ადმინისტრაციას, ან სანაპირო რაზმს რა ვუთხრა, როცა სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელიც ყოველ გემის წასვლაზე იქ გაჩნდება ხოლმე.

რომელ ნაცნობსაც არ წავაწყდები ყველა ერთსა და იმავეს მეკითხება:

— ხომ არ გეგულება ერთი დაწესებულება, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება ქონდეს გემის გაჩხრეკასთან, თუ გინდ შორეული— სულ ერთია. საბაბია მხოლოდ საჭირო.

და მალე გარდა ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებისა ვნახავთ გემზე წარმომადგენლებს:

პროკურატურის—იქნებ ვინმე გასამართლებული მიდიოდეს, ან ,,Вещественное доказательство" არ მიქონდესთ,

აქციზის—არაყი არ გაქონდეს.

ქალაქის თვითმართველობის—ყალბი სასურსათო ბარათები არ გაქონდეს ვისმეს, ფოსტა-ტელეგრაფის, რომ იქ მოპარული ტელეფონის აპარატი არ გაიტანონ, მუშათა მაგიდის—რომ უკანონოთ პურის ზედმეტი რაციონი არ წაიღონ, და ყველა დანარჩენი დაწესებულების.

და ჩვენ გაკვირვებულ კითხვაზე, რომ ეს მათი საქმე არ არის, რომ ამისთვის არის განსაკუთრებული დაწესებულება დამოენა სანაპირო საგანგებო რაზმები და სხვა გვიპასუხებენ:

— იმე, ბატონ ი, ობა მარტო და მოგენის და სანაპირო-საგანგებო რაზმებს ნდომია ჭამა. ჩვენც ცხოვრება გვინდა—აერით ხომ ვერ ვიარსებებთ?

იმათთვის თუ გათენდა შობა, ჩვენთვისაც უნდა გათენდეს.

ბრ. ხლუჩაინი.

## მოქალაქეობის კანონის განმარტება.

საქართველოს სენატმა საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზედ 1920 წლ. დეკემბრის 25-ს განმარტება რესპუბლიკის მოქალაქეობის 1919 წლის მაისის 27 კანონის 1 მუხ. შემდეგ ნაირად: 1) საქართველოს მკვიდრი არის მუდმივი მცხოვრები ანუ ბინადარი, საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებული. 2) სიტყვები ,,ადმინისტრატიულ ერთეულზე მოწერილი'' არის განმარტება ცნებისა: ,,მკვიდრი''; 3) ადმინისტრატიული ერთეული არის ტერიტორიალური ცნება 4) სიტყვა ,,მიწერა'', ,,მიწერილი'' გულისხმობს ისეთ ჩაწერას ადგილობრივ წიგნებში, რომელიც აკავშირებს ჩაწერილს ადგილობრივ ტერიტორიასთან და ჰქმნის მას მუდმივ მცხოვრებად ამ ტერიტორიისა; 5) ,,ადმინისტრატიულ ერთეულზე მიწერილი'' უნდა ვიგულისხმოთ, როგორც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში რომელსამე წოდებრივ ერთეულზე მიწერილი, სახელდობრ: ა) სოფლის საზოგადოებაზე, ბ) მეშჩანთა (მოქალაქეთა) ხელოსანთა ცეხებზე, დ) სასულიერო წოდებაზე და ე) თავად-აზნაურობის საზოგადოებაზე; 6) საქართველოს მოქალაქეთ უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის ყოველი მცხოვრები, რომელიც 1914 წლის 19 ივლისამდე იყო მიწერილი რომელსამე ზემოდ დასახელებულ საზოგადოებაზე ან წოდებაზე; 7) პირადი აზნაური, სა: პატიო მოქალაქენი, ნაფიცი ვექილნი და ვაჭარნი ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თითონ ისინი ან მათი წინაპარნი აღნიშნულ ვადამდე მიწერილი არიან რომელსამე ზემო დასახელებულ საზოგადოებაზე ან წოდებაზე. (სდს).

## მიწების იძულებითი დათესვა.

სავალდებულო დადგენილება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა თავისუფალ მიწების იძულებით დათესვის შესახებ 1921 წლის გაზაფხულზე).

1921 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ შემდეგი სავალდებულო დადგენილება მიიღო: 1920 წელში შემოდგომის ნათესის შემცირების გამო და მომავალში სურსათის კრიზისის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ სცნობს გამოსცეს შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი. 1. ყველა თავისუფალი მიწა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მესაკუთრისა, რომელიც გამოსადეგია დასათესად გაზაფხულის ჭირნახულით (яровыми культурами) აუცილებლივ უნდა დაითესოს 1921 წ. ისათვის. 2. მიწის მესაკუთრენი ვალდებულნი არიან დათესონ თავისი მიწები საკუთარი ძალით ან გასცენ იჯარით. 3. თუ მესაკუთრენი რაიმე მიზეზის გამო არ თესვენ თავის მიწებს, იმ შემთხვევაში ადგილობრივ ერობათა დაწესებულებანი იჯარით გასცემენ აღნიშნულ მიწებს მსურველზე.

შენიშვნა: არ უნდა დათესონ ის მინდვრები, რომლებიც ადგილობრივ პირობების მიხედვით მუდამ რჩებოდნენ დაუთესავი, როგორც მაგალითად: სათიბები და საძოვრები, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ადგილობრივ მეურნეობისათვის.

4. მთელი მოსავალი გაზაფხულის ნათესისა იჯარით გაცემულ მიწებიდან ერგება მოიჯარადრეს ერთი მეათედი გადარჩენილი ხორბლის გარდა, რომელიც იჯარის სახით ეძლევა მიწის მესაკუთრეებს. 5. ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება: ა) საფონდო და კერძო მესაკუთრეთა მიწების შესახებ სამაზრო და სათემო ერობებს, ბ) დანარჩენ სახელმწიფო მიწების შესახებ გადასახლების რაიონების უფროსებს, სახელმწიფო და ერიკნულ მამულის მოურავებს და აგრედვე ტყის გამგეებს. 6. გაზაფხულის ჭირნახულით დაუთესენ მიწების კერძო მესაკუთრენი და მოიჯარადრენი, რომელთაც მიიღეს დათესვის ვალდებულება და არ შეასრულეს ერობისაგან დანიშნულ ვადაზე გარდა სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაისჯებიან თანახმად სასჯელთა დებულების 29 მუხლის, რომელსაც უსჯიან მომრიგებელი მოსამართლენი.

ეს სავალდებულო დადგენილება მიწათმოქმედების მინისტრმა ყველა საერობო დაწესებულებას დაუგზავნა.

## რკინის გზათა ელექტროფიკაცია.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორმა მიწად მოქმედების მინისტრს შემდეგი მიწერილობით მიმართა: 1920 წლ. გაზაფხულზე მწარმოებელთა ჯგუფმა გზათა დეპარტამენტში შემოიტანა წინადადება სახაზინო რკინის გზების აღმოსავლეთის უბნის და კახეთის რკინის გზის ელექტროფიკაციის შესახებ. ელექტროფიკაციისათვის განზრახულია ჰიდრო ელექტრონულ სადგურთა მოწყობა შემდეგ ადგილებში: 1. მდინარე არაგვის მდებლობში სოფ. წიწამურთან 2. მდინარე ხრამის მაღლობში ს ტაშბაშთან. აღნიშნულ საკითხის განსახილველად გზათა დეპარტამენტთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელიც ამ ჟამად ამუშავებს ელექტროფიკაციის ხარჯთ-აღრიცხვას, მატარებლის ელექტრონის წევაზე გადაყვანის შედეგებს ციფრებით და სხვა რაც უახლოეს დროში დამთავრდება და შემდეგ დაიწყება ხელშეკრულების პროექტი შემუშავება სახაზინო და კახეთის რკინის გზებისათვის ელექტრონის ენერგიის მიცემის შესახებ გთხოვთ განკარგულებას, რათა თუ მიწად მოქმედების სამინისტროში შემოვა წინადადება კონცესიის მისაღებად მდინარე ხრამისა და არაგვის აღნიშნულ უბნების ჰიდრავლიურ ენერგიის გამოსაყენებლად, ასეთი წინადადება არ იქნას განხილული და გადაწყვეტილი გზათა დეპარტამენტთან შეუთანხმებლად და თვითონ ნახშირის კონცესიის გაცემის დროს, სადაც არ უნდა მოხდეს ეს, აუცილებელია შეთანხმება გზათა დეპარტამენტთან, რათა არ დაბრკოლდეს გეგმა ჩვენი სარკინისგზო ქსელის ელექტროფიკაციისა.

## ეშმაკის მათრახის საახალწლო მილოცვიდან.

**კომუნისტებს.**

შინ და გარედ ცეცხლსა გვინთებთ,
მაგრამ არ სწვავს თქვენი ცეცხლი.
იუდებო, როგორ გხიბლავთ
სოვნარხოზის ბონი, ვერცხლი,
ამ ბოლო დროს, ხომ ჩაფლავდით,
გაგიყალბდათ ,,ის ნომერი'',
სხვა ,,ნომრებსაც'' გაგიყალბებთ
ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი..

**სომხეთს.**

როგორ გათამდი,
დახეთ ამ კოლოსა!
გაგვიკომუნისტდა
ეს ჩვენი პოლოსა!
ვაი, თუ შეგვემთხვას,
რასაც არ მიელი!..
ფრონტიდან რათ გარბის
წითელ არმიელი?

## წერ. რედაქციის მიმა[რთ]

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მო[ათავ]სოთ შემდეგი: იძულებული [ვარ] სხვა და სხვა მიზეზების გამო[...] სამედიატორო სამართალში პ[...] ავთ. ან წულიძე, ბათუმის შრ[...] კომისარი. ჩემის მხრიდან ვასახ[ელებ] მედიატორებათ ბატ-ნ დავით მიშვილს და გიორგი ჩიკაშუას. ვითხოვთ განაჩენი გამოქვეყნდე[ს] ზეთში. დღიდან ამ წერილის [და]ბეჭდვისა ერთი კვირის განმავლ[ო]ბაში თუ არ გამოუმცხადებია ა[მ] გაზეთის საშვალებით თავის მედ[ია]ტორები იძულებული ვიქნები შ[...] ფერისი სახელი უწოდო ბათ[...] კანტორის ფოსტა ტელეგრაფის [...] ხელე მატრონე მგელაძე.

# განცხადება

## ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ქალ. ბათომის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ თანახმათ § 1 შენიშვნა 1, 2 და 3 ქალაქ ბათომისთვის გამ. სავ. დადგ. კრებულისა აკრძალულია გაკვრა აფიშებისა და სხვა ყოველგვარ განცხადებებისა სახლის კედლებზე, ღობეებზე და სხვა, გარდა სახლის პატრონების და მათი მდგმურების განცხადებებისა, ავეჯეულობისა და სხვა ნივთების გაყიდვის შესახებ. აკრძალულია აგრეთვე დადგმა ქუჩებში განსაკუთრებულ ბოძების გამოფენისათვის წიგნების, სურათების და სხვა საგნებისათვის თუ განსაკუთრებული ნებართვა არ არის ამ შემთხვევაში ქალაქის გამგეობისაგან.

აფიშები, განცხადებები და აგრეთვე ზემოდასახელებული გამოფენები შეიძლება გაიკვრას და გამოიფინოს ქალაქში მათთვის განსაკუთრებულ დადგმულ ბოძებზე,

ვინაიდან ხშირია ქალაქში ზემოდასახელებულ წესების დარღვევის შემთხვევა, ამისთვის წინადადება ეძლევა ყველა წესის დამრღვევს დაუყონებლივ ჩამოსწმინდონ განცხადებები, აფიშები და სხვა ქაღალდები, და მომავალში ასეთები უნდა იქნეს გაკრული იმ განსაკუთრებულ ბოძებზე, რომელიც დადგმულია ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში, მილიციას ევალება საქტიკ ყურადღების მიქცევა და დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემა.

1 ქალაქის გამგეობა.

# განცხადება

## ფრონტის დამხმარე კომიტეტი

9 იანვარს ფრონტის დამხმარე კომიტეტი მოაწყობს ვაჭრობას ფრონტის სასარგებლოდ 47 რესტორანსა, სასტუმროსა, სარძევესა და სახ.იგ. ბში. ვაჭრობა გ-ვრძელდება ღამის 1 საათამდე. ვაჭრობას უხელმძღვანელებენ განსაკუთრებულად დანიშნული კაცები

სია ამ სავაჭროებისა: ,,პავილიონი'', ,,ართ[...]'', საზოგადო საკრებულო (კლუბის), მარანი, სარძევე ივანე მგელაძისა, ბო მონდი მეგრელიშვილისა ,,კავკაზი'' ურუშაძისა, რესტორანი ,,ფრანცია'', ,,ლონდონი'', ,,ფორტუნა'', ,,საქართველო'', ,,სანრემო'', ,,ინტერნაციონალ'', სარძევე ,,დრუჟბა'', ამერიკის ,,ბარი'', ,,ფეოფელოს'', გაბრიჩიძის რესტორანი, ძნელაძის რესტორანი, რესტორანი ,,პელ მელ'', რესტორანი ჩოხატაური, რესტორანი ლეკვინაძისა, რესტორანი ჩუბინიძისა, რესტორანი კაციტაძესი, სარძევე აივაზივისა, ,,კაფე-ვაშინტონ''. რესტორანი ,,მოდი მნახე'', ,,ალავერდი'', ,,არგო'', ,,დარიალი'', სარძევე ძიძიგურისა, რესტორანი გეგეჩაძისა, რესტორანი ,,ვერდენი'', კაფე რესტორანი, ჯიბლაძის რესტორანი, ქალთა წრის სასადილო იულო მაჭარაძის რესტორანი, ზენაიშვილის რესტორანი, კაფე ,,ბირჟა'', სარძევე უგულავასი, ,,კაფე კერასუნდი'', რესტორანი ,,ნეაპოლი'', რესტორანი სანიკიძისა, გიორგი ჩოგოვაძის რესტორანი, ნიტიფო გვგსაძის რესტორანი და კაფე-რესტორანი ,,კონსტანტინოპოლი''.


# დაიკარგა

მე, არითიუნ მინასიანმა, ამერიკაში მიღებული პასპორტი ორი სურათით. პოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს, მიიღებს ჯილდოთ 5000 მ. წინააღმდეგ ჩაითვალოს გაუქმებულათ. მიხაილოვის ქ. ბორჟომის ნომრები.

(3—3)

საღვინე გასტრონომიული მაღაზია

# იყიდება

დაწმენდილ დაცდილი ნამდვილი
იამაის რომი კონიაკი ,,IMPERIAL"
და სხვა სასმელები მაღალი ღირსებისა.

სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.

25—3


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ე. შმავესკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.